

შპს არეალი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საანგარიშო პერიოდი 01.01.2021-31.12.2021 წ.
ქართულ ლარში

31 დეკემბერი 31 დეკემბერი 01 იანვარი 2020
2021 წ. 2020 წ. წ.

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	28,790	31,739	39,014
არამატერიალური აქტივები	0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	28,790	31,739	39,014

მიმდინარე აქტივები

მარაგები	1,747,716	2,907,631	5,220,005
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29,292	29,292	72,953
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0	0	0
სხვა აქტივები	157,928	175,409	593,532
ფული და ფულის ექვივალენტები	211,005	37,824	1,872
სულ მიმდინარე აქტივები	2,145,941	3,150,156	5,888,361
სულ აქტივები	2,174,731	3,181,895	5,927,375

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	-76,355	968,516	622,595
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სულ კაპიტალი	-76,355	968,516	622,595

გრძელვადიანი ვალდებულებები

სესხები	242,691	479,202	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	242,691	479,202	0

მოკლევადიანი ვალდებულებები

სესხები	32,884	39,384	299,134
სავაჭრო ვალდებულებები	33,472	171,256	357,113
ვალდებულებები შრომის ანაზღაურებიდან	0	0	0
მიღებული ავანსები	1,942,040	1,523,537	4,648,532
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,008,396	1,734,177	5,304,780
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2,174,731	3,181,895	5,927,375

დირექტორი:

ზურაბ ნასყიდაშვილი

-

-

-

შპს არეალი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

01.01.2021-31.12.2021 წ.

ქართულ ლარში

	31 დეკემბერი 2021 წ.	31 დეკემბერი 2020 წ.
საოპერაციო შემოსავალი	1640277	5195558
საოპერაციო ხარჯები	-1079129	-3418130
საერთო მოგება	561147	1777428
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1474690	-396628
საოპერაციო მოგება	-913543	1380799
ფინანსური ხარჯები	-22174	-2172
წმინდა საკუროსო შემოსავალი/ზარალი	0	0
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	28712	-496238
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე	-907005	882389
მოგების გადასახადი	-20680	-80470
წლის მოგება	-927685	801919
წლის სხვა სრული შემოსავალი	0	0
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-927685	801919

-

-

დირექტორი:

ზურაბ ნასყიდაშვილი

შპს არეალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო პერიოდი 01.01.2021-31.12.2021 წ.

ქართულ ლარში

31 დეკემბერი
2021 წ.

31 დეკემბერი
2020 წ.

01 იანვარი 2020
წ.

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები

არამატერიალური აქტივები

სულ გრძელვადიანი აქტივები

28,790

31,739

39,014

0

0

0

28,790

31,739

39,014

მიმდინარე აქტივები

მარაგები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

წინასწარ გადახდილი გადასახადები

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

სხვა აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები

სულ მიმდინარე აქტივები

სულ აქტივები

1,747,716

2,907,631

5,220,005

29,292

29,292

72,953

0

0

0

157,928

175,409

593,532

211,005

37,824

1,872

2,145,941

3,150,156

5,888,361

2,174,731

3,181,895

5,927,375

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება

გადაფასების რეზერვი

სულ კაპიტალი

0

0

0

-76,355

968,516

622,595

0

0

0

-76,355

968,516

622,595

გრძელვადიანი ვალდებულებები

სესხები

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები

242,691

479,202

0

242,691

479,202

0

მოკლევადიანი ვალდებულებები

სესხები

სავაჭრო ვალდებულებები

ვალდებულებები შრომის ანაზღაურებიდან

მიღებული ავანსები

საგადასახადო ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

32,884

39,384

299,134

33,472

171,256

357,113

0

0

0

1,942,040

1,523,537

4,648,532

0

0

0

0

0

0

2,008,396

1,734,177

5,304,780

2,174,731

3,181,895

5,927,375

დირექტორი:





ზურაბ ნასყიდაშვილი

შპს არეალი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

01.01.2021-31.12.2021 წ.

ქართულ ლარში

31 დეკემბერი
2021 წ.

31 დეკემბერი
2020 წ.

საოპერაციო შემოსავალი	1640277	5195558
საოპერაციო ხარჯები	-1079129	-3418130
საერთო მოგება	561147	1777428
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1474690	-396628
საოპერაციო მოგება	-913543	1380799
ფინანსური ხარჯები	-22174	-2172
წმინდა საკუთრივ შემოსავალი/ზარალი	0	0
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	28712	-496238
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე	-907005	882389
მოგების გადასახადი	-20680	-80470
წლის მოგება	-927685	801919
წლის სხვა სრული შემოსავალი	0	0
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-927685	801919

დირექტორი:



ზორბ ნასყიდაშვილი

შპს „არეალი“ (ს/ნ 448389994)

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „არეალი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2013 წელს. კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა სხვადასხვა დასახელების პროდუქტით და სასმელებით.

იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ., N 49

საქმიანობის ადგილი: ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ., N 49

კომპანიის მფლობელი არიან: ზურაბ ნასყიდაშვილი (პ/ნ 47001006155) 25%-იანი წილით, თენგიზ გოგოლაძე (პ/ნ 61006022712) 50%-იანი წილით და იმედა მუმლაძე (პ/ნ 47001015116) 25%-იანი წილით.

კომპანიის დირექტორი არის : ზურაბ ნასყიდაშვილი (პ/ნ 47001006155)

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში („ლარი“).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი მონეტარული აქტივებისთვის გამოიყენებოდა შემდეგი გაცვლითი კურსები: 1 აშშ დოლარი- 3.0976 ლარი , 1 ევრო - 3.504 ლარი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი: წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) თანახმად, რომელიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს

შესაძლებელი დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები. ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით.

ამონაგები საქონლის (მომსახურების) რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც შემოსავლის თანხის ოდენობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ და ამასთან სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს.

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და აღიარდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოხდა ხარჯების გაწევა და სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი გავა კომპანიიდან;

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

ფული და ფულის ექვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ექვივალენტებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით, როდესაც ეს არის საჭირო მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების ნარჩენ საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ძირითად საშუალებებზე ცვეთა გამოითვლება შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით :

- კომპიუტერები და სხვა აღჭურვილობა წლიური - 20%
- მანქანა-დანადარები წლიური - 20%
- შენობები - წლიური 2%

სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შეცვლა ხდება, ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს სასრული მომსახურების ვადა და პირველ რიგში მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზირდება მათ შესაძენად გადახდილი თანხის და მათ სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯების შესაბამისად. განვითარების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კომპანიის მიერ კონტროლირებად იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამებს, აღირიცხება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ დამატებითი სარგებელი გადააჭარბებს სავარაუდო ხარჯებს.

კაპიტალიზირებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების გუნდის პერსონალის ხარჯებს და მნიშვნელოვანი ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის ყველა სხვა ხარჯები, მაგ. მისი შენახვის ხარჯი, აღიარდება ხარჯად, როდესაც ხდება ამ ხარჯის გაწევა. კომპიუტერული პროგრამები ამორტიზირდება შემცირებული ბალანსის მეთოდით წელიწადში 15%.

საოპერაციო იჯარა როდესაც კომპანია არის მოიჯარე და როდესაც მეიჯარესგან უფლების გადაცემისას მასზე მთლიანად არ ხდება ყველა რისკის და სარგებლის გადასვლა, იჯარის არსებობის მთელ პერიოდზე, მთლიანი საიჯარო გადახდების აღიარება ხდება წრფივი მეთოდით მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

მიღებული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ნაღდი(უნაღდო) ანგარიშწორებით ან ჩვეულებრივი სარკრედიტო პირობით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში (ქართულ ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

კოვიდ-19 პანდემიამ განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა მოახინა საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნული კრიზისის გავლენა საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკაზე. მკაცრმა და არაპროგნოზირებადმა შეზღუდვებმა დააზიანა მრავალი სექტორი. მათ შორის მნიშვნელოვნად დაზიანდა ტურიზმის სექტორი, რომლის ხვედრითი წილი საქართველოს ეკონომიკაში სტაბილურ პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანია. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

საანგარიშო პერიოდში კომპანიამ ისარგებლა კოვიდ 19-ით განპირობებული საშემოსავლო გადასახადის სუბსიდიით. კერძოდ, * COVID-19-ის გავრცელების გამო შექმნილი კრიზისის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირების შესახებ. შეღავათი დაანგარიშდა შემდეგი პრინციპით: დასაქმებულებისთვის, რომელთა ხელფასიც არ აღემატება 750 ლარს, საშემოსავლო გადასახადი სრულად, ხოლო 750-დან 1500 ლარამდე ხელფასის შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადი მხოლოდ 750 ლარის ნაწილში.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

- საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.